

ავტორი: ლიკა_ოხანაშვილი
ქანრი: პროზა
გამოქვეყნების დრო: 2011-04-04 15:14:25

ჩვენ ხომ გიყვები ვართ...

.....

იცით? აქ მხოლოდ თეთრი კედლებია და არასდროს გვაინგერესებს რა არის მის მიღმა, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი წარმოსახვა არამარტო ამ კედლებს სცდება, არამედ მთელ სამყაროს და ბევრად უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე თქვენი, ყველასი ერთად...

თქვენ გიყვები ხართო - ასე გვითხრეს ერთხელ და სწორედ იქიდან დაიწყო ჩვენი თავისუფალი ცხოვრება... დიახ, თავისუფალი... რადგან ეს კედლები ბევრს არაფერს ნიშნავს, დაგვერწმუნეთ...

ჩვენ არასდროს გვაქვს კალენდარი, რადგან ჩვენ თვითონვე ვწყვეტთ, როდის და რომელი დღე უნდა იყოს... ჩვენ არასდროს ვუყურებთ საათს, რადგან დრო ან ჩვენი სურვილით მიდის, ან - საერთოდ გაჩერებულია. თქვენ კი? თქვენ ყველაფერზე დამოკიდებული და გამოკიდებული ხართ... სულ გეჩქარებათ, სულ იბრძვით, სულ ერთმანეთს მგრობთ და ოცნებობთ თავისუფლებაზე, იმაზე, რაც ჩვენ ისედაც გვაქვს. და მაინც, ჩვენ გიყვები ვართ...

გიყვები - რადგან არასდროს გვეშინოდა გვეთქვა ის, რასაც ვფიქრობდით...

გიყვები - რადგან არც ყავის ჭიქას ვჩიქნიდით თვალებით და არც კარგი გაგვიშლია მომავლის გასაგებად, ჩვენთვის ხომ მომავალს არასდროს ჰქონია მნიშვნელობა, რადგან ვიცოდით, რომ შეიძლება ის სულაც არ ყოფილიყო.

ჩვენ გიყვები ვართ - რადგან არასდროს გვეცდია გვეცხოვრა სხვების მსგავსად და მიგვებაბა ვინმესთვის თავის დასამკვირდებლად. ჩვენი თავის იმედოდ ვმოქმედებდით მუდამ და თუნდაც განსხვავებულს, მაგრამ ახალ ამრსა და ხელვას ვქმნიდით.

ჩვენ გიყვები ვართ - რადგან შეგვეძლო გვეთქვა თეთრზე შავი მაშინაც კი, როცა ჩვენი განმსჯელნი მას საერთოდ წითლად ხელავდით...

და მაინც, ჩვენ გიყვები ვართ...

.....

"თავის მოკვლა ცოდვააო" - ამბობთ თქვენ, ადამიანები....

თქვენ-თქო, იმიტომ ვაკონკრეტებ, რომ როგორც წესი, გიყვებს ადამიანებად არ გვთვლით. ალბათ ამიტომაც გაგვრიყვით, მოგვიწყვიტეთ და გვერდიდან ჩამოგვითალეთ, როგორც მელმეგი და მიუღებელი...

კარგით, იყოს ასე და როგორც ვამბობდი, თქვენ, ადამიანები გიყვებს თავის მოკვლაში გვადანაშაულებთ... და თუმცა ჩვენთვის სასაცილოა, თქვენთვის კი - დაუჯერებელი, არასდროს მოგვიკლავს თავი! გესმით? არასდროს! დიახაც! გიყვები თავს არ იკლავენ! თავს იკლავს ის, ვინც სიგიჟეს ვერ ეგუება და ჩვენამდე ვერ მოდის... ჩვენ კი, საკმაოდ მყარი ნერვები გვაქვს... არ გჯერათ?

და თუნდაც არ დაიჯეროთ, ამ ყველაფერს შევეგუეთ კიდევ...

აქ ხომ ყველაფერი თეთრი და სუფთაა, თქვენთან კი - ჭუჭყიანი...

ჩვენ ყველას საკუთარი სამყარო გვაქვს. სამყარო, სადაც თქვენი ადგილი არ არის, არა იმიტომ, რომ ჩვენ არ გიშვებთ, არამედ იმის გამო - რომ არცერთ თქვენგანს არ უნდა ჩვენაირებთან...

ჩვენ ხომ გიყვები ვართ...

თუმცა, იქნებ ხანდახან დაფიქრებულიყავით იმაზე, რომ ჩვენც ვფიქრობთ, ჩვენც გვგკივა, გვწყინს და გვიხარია... კი, განსხვავებულად, ჩვენებურად, მაგრამ ხომ მაინც განვიცდით? თუმცა, როგორ არა, თქვენ ხომ ირონიულად გებრალებით და თანაც, ყოველწამიერად...

მაგრამ, გვიჭრდება კი ჩვენთვის თავარიღებული ადამიანების ღიმილნარევი სიბრაღული?
თუმცა, ვინ გვეკითხება, ჩვენ ხომ გიჟები ვართ...

.....

ჩვენ ღელამიწას აუეტირდით...

ვიცით, ცხოვრებასაც ნელ-ნელა თავი მოვაბუმრეთ... ჰოდა, ერთ დღესაც ჩაგვყლაპა და სულ სხვა სამყაროში
გაღმოგვაფურთხა...

მას შემდეგ ასე ვართ...

არაღა, რატომ?

იმიტომ, რომ ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ თოვლი გაფხულში და მზე სიბნელეში?! თუ იმიტომ, რომ ვერ იგებთ,
რატომ ვიცინით მაშინ, როდესაც გვგკივა...

იქნებ, სიგიჟეც ნიღაბია?

აღრე, ხშირად გვესიზმრებოდა მაგარებელი და გაქცევის სურვილი გვიჩნდებოდა, გვინდოდა მაგარებელში
ავსულიყავით და გა(მო)ვყოლოდით.

მაგრამ მაშინვე შეშინებულებს გვეღვიძებოდა...

ალბათ ძილშიც კი, ქვეცნობიერში, ყოველთვის ვიცოდით, რომ თქვენ არასდროს მიგვიღებთ...

ჩვენ ხომ გიჟები ვართ...

ლიკა ოხანაშვილი

4.04.2011